



საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა ლ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 98/6

2017 წლის 18 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში განსახილველ ზოგიერთ განცხადებაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2017 წლის 18 დეკემბრის საჯარო სხდომაზე განიხილა სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიმართ (№ 15340/01; 24.11.2017), მოქალაქე დავით ტულუშის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№15968/01; 28.11.2017), მოქალაქე ეთერ ბეშკანაძის სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ (№15536/01; 04.12.2017), შპს "ბოჭორმა 5"-ის სს „თელასის“ მიმართ (№15623/01; 04.12.2017), მოქალაქე ვაჟა ავსაჯანიშვილის სს „თელასის“ მიმართ (№16214/01; 15.12.2017), შპს „ოცნების სამყაროს“ სს „თელასის“ მიმართ (№16174/01; 18.12.2017) არსებულ დავებზე ვადის გაგრძელების თაობაზე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის გაგრძელების (განსაზღვრის) საკითხი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასახელებულ ადმინისტრაციულ საჩივარზე გადაწყვეტილების მისაღებად და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და სხვა მტკიცებულებების შესაბამისი უწყებებიდან გამოთხოვა, გამოკვლევა და შეფასება, რაც დამატებით დროს მოითხოვს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად

კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

გადაწყვიტა:

1. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მიმართ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ განცხადებასთან (№15340/01; 24.11.2017) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 23 თებერვალი.
2. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ დავით ტულუმის განცხადებასთან (№15968/01; 28.11.2017) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 27 თებერვალი.
3. სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიმართ ეთერ ბეშკანაძის განცხადებასთან (№15536/01; 04.12.2017) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 2 მარტი.
4. სს „თელასის“ მიმართ შპს "ბოჭორმა 5"-ის განცხადებასთან (№15623/01; 04.12.2017) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 2 მარტი.
5. სს „თელასის“ მიმართ ვაჟა ავსაჯანიშვილის განცხადებასთან (№16214/01; 15.12.2017) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 14 მარტი.
6. სს „თელასის“ მიმართ შპს „ოცნების სამყაროს“ განცხადებასთან (№16174/01; 18.12.2017) დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2017 წლის 15 მარტი.
7. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ ეცნობოს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირებს.
8. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.

9. გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ ცალკე არ გასაჩივრდება.

ირინა მილორავა

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

